ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №157

2013 წლის 26 დეკემბერი,
ქ. ბათუმი

ბსუ–ს 2014 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ბსუ–ს აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014 წლის სამოქმედო გეგმა **დანართი 1**-ის შესაბამისად;

2. დადგენილება **ძალაშია ხელმოწერისთანავე.**

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2014 წლის სამოქმედო გეგმა

- საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) სრულყოფა, შიდა და გარე აკადემიური ექსპერტიზა;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და აკრედიტაციის მოპოვება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- სასწავლო პროცესის ინფორმაციული და ფინანსური უზრუნველყოფა;
- სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა;
- სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- უნივერსიტეტის პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების განვითარება;
- სამეცნიერო კვლევების მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და, შესაბამისად, სტუდენტთა დადგენილი ზღვრული ოდენობის გაზრდისათვის ზრუნვა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ხელშეკრულებების გაფორმება, სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ბაზებით უზრუნველყოფა;
- იმ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსების გამოცხადება და ორგანიზება, რომელთა სახელშეკრულებო ვადა იწურება 2014 წელს;
- სამეცნიერო და სასწავლო გრანტების მომზადება და წარდგენა საქართველოს და უცხოეთის ფონდებში;
- საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოება;
- სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებში აქტიური ჩართვა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება–ჩატარება;
- საზაფხულო სკოლების ჩატარება;
- უცხოეთის უნივერსიტეტებიდან ქართველი და უცხოელი პროფესორების მოწვევა ლექციების ჩასატარებლად;